პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 233 (5003)

1973 წ. 25 ნოემბერი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან





პაკუტიის ჩრდილოეთში, იმიერპოლარულ დაბა უსტ-ნერაში უკვე კარგა ხანია გახსნილია სპორტული კომპლექსი. ახლა დაბის მოსახლეობას საშუალება აქვს აუზში მთელი წლის მანძილზე ივარჯიშოს ცურვაში. ამ სახეობის სექციებში გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით მეცადინეობენ ნორჩი სპორტსმენებიც — მაღაროელთა და ავტოტრანსპორტის მუშაკთა შვილები.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: უსტ-ნერის სპორტული კომპლექსი; მეცადინეობა საცურაო აუზში.

ა. ფილამოვის ფოტო (საქდესი).



მაგადანში ჩატარდა შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის ქალაქების ჭაბუკ მოკრივეთა მესამე ტურნირი გაზეთ „მაგადანსკი კომსომოლეცის" პრიზზე. ამ უკვე პოპულარული ჯილდოსთვის ასზე მეტი ახალგაზრდა მოკრივე იბრძოდა.

გაიმარჯვეს რინგის მასპინძლებმა.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მაგადანის რინგი შეჯიბრების დროს.

ს. ბელიაევის ფოტო (საქდესი).

გამარჯვებით დაბრუნდნენ

კიროვაბადში სისტემატურად ტარდება კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირები, რომლებშიც სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებსაც იწვევენ. რუსთაველი მოჭიდავეები კიროვაბადელთა ხშირი სტუმრები არიან და მოძმე რესპუბლიკის სარბიელზე წარმატებებს აღწევენ.

ასე იყო ამჯერადაც. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირ ი. მამედოვის ხსოვნას მიეძღვნა, თავი გამოიჩინეს: ფ. მერმანიშვილმა, მ. მუზაშვილმა, გ. მაჭარაშვილმა (დაიკავეს II ადგილები), ტ. ხაბლიევმა და ბ. ჯიბღაშვილმა (III ადგილები).

„კლასიკოსთა" ტურნირი მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ა. ტერიანის სახელს ატარებდა. აქ რუსთავის მოჭიდავეთაგან გაიმარჯვეს: გ. ხარაიშვილმა, თ. ნოზაძემ და თ. კალანდაძემ, ხოლო ჯ. მათიაშვილმა III ადგილი დაიკავა.

რ. გაბრიჩიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

მეტი ტაქტი და კარგი მსაჯობა

დამთავრდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ტურნირი სპეციალური საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა VI სპარტაკიადის პროგრამაში იყო შეტანილი. ასპარეზობაში 8 გუნდი მონაწილეობდა და მათ შორის იყო მწვრთნელთა სკოლის ნაკრები კოლექტივიც.

შეჯიბრება საკმაოდ საინტერესოდ ჩატარდა, თუმცა მსაჯთა კოლეგიამ თავდაპირველად რამდენიმე უზუსტობა დაუშვა. ტურნირის საერთო ხარისხზე უარყოფითი გავლენა იქონია იმანაც, რომ ზოგიერთი გუნდის წარმომადგენლები თავს ვერ იკავებდნენ და ეკამათებოდნენ მსაჯებს. ჩვენი დასკვნა ასეთია: წარმომადგენლებმა მეტი ტაქტი უნდა გამოიჩინონ მსაჯების მიმართ, ამ უკანასკნელებმა კი რაც შეიძლება ზუსტად და ობიექტურად იმსაჯონ. ამას მაშინ მივაღწევთ, თუ შეჯიბრებას მოემსახურებიან მაღალი კვალიფიკაციის მსაჯები.

ბევრმა მონაწილემ მზარდი ოსტატობა გამოავლინა და ეს, რა თქმა უნდა, ჩემპიონატის ერთ-ერთი ღირსებაა. პერსპექტიულ მოჭიდავეთაგან უნდა გამოვყოთ ზ. ცისკარიშვილი, ე. კულუმბეგოვი, ქ. ლოლაშვილი, ზ. ზექალაშვილი... ზემოაღნიშნული სპორტსმენები წარმატებით გამოდიან ძიუდოისტთა ტურნირებშიც, რასაც ისინი ქართული ჭიდაობის ილეთების ცოდნას უნდა უმადლოდნენ.

ტურნირის მთავარი ღირსება ისიც იყო, რომ მან გვიჩვენა ქალაქის ტექნიკუმების დაინტერესება ქართული ჭიდაობით. ამ მხრივ უნდა გამოვყოთ პოლიტექნიკური ტექნიკუმი, რომელმაც გუნდური I ადგილი დაიკავა (მწვრთნელი გ. მაჭავარიანი).

კარგად ჩაატარა შეხვედრები მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის წარმომადგენელმა ქ. ჟამერაშვილმა (79 კგ), რომელმაც ხუთივე შერკინება წმინდად მოიგო. ამ მოჭიდავეს კარგი მონაცემები აქვს და, თუ სისტემატურად ივარჯიშებს, მაღალ შედეგებსაც მიაღწევს.

მწვრთნელთა სკოლის მოსწავლეებმა ამ შეჯიბრებაში II ადგილი დაიკავეს. ეს უთუოდ წარმატებაა, ვინაიდან ისინი ტექნიკუმების ასპარეზობაში პირველად გამოდიოდნენ. III ადგილზე სავაჭრო ტექნიკუმის გუნდი გავიდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: რ. ტერტერაშვილი (სავაჭრო ტექნიკუმი), ზ. ზექალაშვილი (მწვრთნელთა სკოლა), ზ. ფიცხელაური (პოლიტექნიკური ტექნიკუმი), ვ. ქარქუზაშვილი (სავაჭრო ტექნიკუმი), რ. მარკოზაშვილი (პოლიტექნიკური ტექნიკუმი), ქ. ჟამერაშვილი (მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი), ა. დიღმელაშვილი და ვ. მთიულიშვილი (ორივე — პოლიტექნიკური ტექნიკუმი).

ო. ჩხაიძე,
სპორტის ოსტატი.

ფოთში, კაპარჭინაზე,

ჩატარდა მოზარდთა რესპუბლიკური საშემოდგომო პირად-გუნდური შეჯიბრება ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში. სტარტზე 95 სპორტსმენი გამოვიდა.

მონაწილენი პირველ დღეს 500 მეტრზე ასპარეზობდნენ. ერთადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში ყველას აჯობეს მცხეთელმა გოგონებმა და ჭაბუკებმა. თ. თედლიაშვილმა მთავარ მეტოქეებს — რუსთაველ ა. ჟოლტიკოვასა და ბათუმელ კ. მკრტჩიანს ბოლო ას მეტრში აჯობა და დისტანცია პირველმა დაამთავრა — 2.48,0. ჟოლტიკოვა მას 2 წამით ჩამორჩა. III ადგილზე გავიდა მკრტჩიანი — 2.54,0.

ჭაბუკებში უძლიერესმა — მცხეთელმა ვ. კრიულიანმა 500 მეტრის გაცურვას 2.27,9 მოანდომა და მეორე პრიზიორი, ფოთელი ა. გოლოვანოვი 0,6 წამით ჩამოიტოვა. თბილისელი გ. გარსიაშვილი III ადგილს დასჯერდა — 2.30,0.

მცხეთელებმა ამ ტურნირში კარგად მომზადებული კოლექტივი გამოიყვანეს და საერთო გუნდურ ჩათვლაში ბათუმის გუნდთან ჭიდილში გამარჯვება შეძლეს — 69 ქულა. ბათუმის ნაკრებმა მათთან 4 ქულა წააგო. სხვა გუნდები ამ კოლექტივებს საგრძნობლად ჩამორჩნენ — მესამე პრიზიორმა, თბილისის გუნდმა, მაგალითად, 48 ქულა მოაგროვა.

მასპინძლებსა და დუშელ ნიჩბოსნებს ხელი მოეცარათ. ფოთელებს გოგონები არ ჰყავდათ და 27 ქულით ბოლოსწინა, VII ადგილს დასჯერდნენ, დუშელებს კი თავიანთი ინვენტარი არ ჰქონდათ, ნათხოვარი ნავებით გამოვიდნენ სარბიელზე და 2 ქულა ძლივს მიიღეს.

ლ. ხეცურიანი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.

• • •

გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები

გოგონები. პირველი დღე. **ორადგილიანი ბაიდარა. 500 მ.** ნ. ლეზინა — ი. სერედა (რუსთავი) — 2.35,0. **ჭაბუკები. ორადგილიანი ბაიდარა. 500 მ.** შ. მუსოიანი — ვ. კრიულიანი (მცხეთა) — 2.27,0. **კანოე. ერთადგილიანი.** ზ. ხიზანიშვილი (მცხეთა) — 2.38,0; **ორადგილიანი.** ლ. შორინიკოვი — რ. ეზიაშვილი (ბათუმი) — 2.40,0. მეორე დღე. **1000 მ. ბაიდარა. ერთადგილიანი.** ვ. სიბირკო (ბათუმი) — 4.31,0. **ორადგილიანი.** ო. მუჯირიშვილი — მ. გოგელაშვილი (ქუთაისი) — 3.51,1. **კანოე. ერთადგილიანი.** კ. სტავრიანიდი (ბათუმი) — 5.12,0. **ორადგილიანი.** ე. ეზიაშვილი — სტავრიანიდი (ბათუმი) — 4.10,0.

მაღალი ჯილდო

„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურმა სამმართველომ 1973 წლის მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით I ადგილი დაიკავა „სპორტლოტოს" ზონალური სამმართველოების საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

თბილისის პანდრაკის სასახლეში „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოს ამ წარმატებისთვის გუშინ საზეიმოდ გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის, აგრეთვე, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

რესპუბლიკური სამმართველოს კოლექტივის მიღწევებზე დამსწრეთ ესაუბრა სამმართველოს უფროსი გ. ზარდიაშვილი. მან აღნიშნა, რომ მარტო 1972-73 წლებში ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტს 458 ათასი მანეთი გადაეცა. ოქტომბერში თბილისის ველოსტადიონის მშენებლობისთვის გადაირიცხა 227 ათასი მანეთი. „სპორტლოტომ" გამოყო სახსრები ლესელიძის ტანვარჯიშის დარბაზის რეკონსტრუქციისთვის, სადაც ახლახან დიდი საერთაშორისო შეჯიბრებისთვის ემზადებოდა სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები. ბაკურიანში „სპორტლოტოს" სახსრები ხმარდება ტრამპლინის აღდგენას და ფიზკულტურის ინსტიტუტის სამთოსათხილამურო ბაზის კაპიტალურ რემონტს, სადაც მალე სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის მონაწილენი დაბინავდებიან, ქუთაისში იწყება ცენტრალური სპორტული დარბაზის რეკონსტრუქცია.

სპორტული ლატარიების მთავარი სამმართველოს წარმომადგენელმა ვ. იუფეროვმა დამსწრეთ გააცნო ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება. მანვე გამარჯვებულებს გადასცა გარდამავალი წითელი დროშა.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ თავის სიტყვაში აღნიშნა „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს წარმატებები და გამოთქვა იმედი, რომ მისი კოლექტივი კვლავაც გაგვახარებს აქტიური მუშაობით, კვლავაც თავის ღვაწლს დასდებს საბჭოთა სპორტის განვითარებას.

ნ. ლონდაძე,
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: დროშის გადაცემის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

Ოდესის ფეხბურთელთა გუნდი „ჩერნომორეცი" გაისად კიშინიოვის „ნისტრუსთან" ერთად უმაღლეს ლიგაში ითამაშებს. „ჩერნომორეციც" და „ნისტრუც" („მოლდოვას" სახელწოდებით) სხვა დროსაც მონაწილეობდნენ ქვეყნის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში.

მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ „ჩერნომორეცის" გუნდს. პირველ რიგში (მარცხნიდან): ვ. ბოროვიკოვი, ლ. ბარანოვსკი, გ. საპოჟნიკოვი, ა. შეპელი, ვ. კუზმინი, ი. ივანენკო, ვ. ბუტენკო, ვ. მოსკვიჩოვი, ვ. ნეჩაევი; მეორე რიგში: ა. ნეფიოდოვი, ვ. ზუბკოვი, ა. დეხტიარიოვი, ვ. ლეშჩუკი, უფროსი მწვრთნელი ა. ალესკეროვი, ვ. ტომაშევსკი, ვ. ფეიდმანი, მწვრთნელი ს. შმერლინი, ს. კრულიკოვსკი, ექიმი ვ. კოროტინსკი, მასაჟისტი ვ. სოკოლოვი, ადმინისტრატორი ვ. გალიცკი.

მარჯვენა სურათზე — კიშინიოვის „ნისტრუ" (მარცხნიდან): ზედა რიგში — უფროსი მწვრთნელი ვ. კოროლკოვი, მწვრთნელი ვ. კირიჩენკო, მწვრთნელი ვ. ფოლომეევი, გ. ტეგლიაცოვი, ვ. პავლოვი, ი. ნადეინი, ვ. კარიოვი, ვ. გოსპერსკი, რ. ატამალიანი, ვ. ვოლოსტნიხი, ადმინისტრატორი ვ. ზადნიპრიანოვი, ექიმი ე. ლოსენკო, ვ. დრიეენკო, გუნდის უფროსი ლ. ბურდი; ქვედა რიგში — ნ. მიხაილოვი, ვ. კატკოვი, ნ. ტაბაჩუკი, ვლ. კუციევი, ვ. ჟურავლიოვი, პ. ჩებანუ, ფეხსაცმლის ოსტატი ა. აფანასენკო, ა. ტესლიოვი, ი. კარასი.

ი. პავლენკოს და ა. სიმანოვსკის ფოტოები (საკდეს).

ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი

სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

საიუბილეო ციფრები

✦ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა მეორე წრის მატჩი მოსკოვის „სპარტაკთან" 65-ე იყო ამ ორ გუნდს შორის და თბილისელებმა 25-ე გამარჯვებას მიაღწიეს.

✦ თბილისის „დინამოს" მეორე წრის მატჩი ცსკა-სთან ამ გუნდების მე-60 მატჩი იყო.

✦ მინსკის „დინამოსთან" მეორე წრეში თბილისელებმა 45-ე მატჩი ჩაატარეს, ხოლო მათ მიერ გატანილი მე-8 ბურთი რიგით 90-ე გამოდგა.

✦ ალმა-ათის „ყაირათის" კარში თბილისელებმა მეორე წრეში 25-ე გოლი გაიტანეს.

შ. უშვერიძე.

სოფ. ხაჯალია,
ლანჩხუთის რაიონი.

ვინ იყვნენ მწვრთნელები?

Ფეხბურთის მოყვარულთათვის, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება გაეცნონ, თუ ვინ იყვნენ თბილისის „დინამოს" მწვრთნელები 1935 წლიდან მოყოლებული დღემდე.

1935 წ. — პ. ორეხოვი.
1936 წ. — ჟ. ლიმბეკი.
1937-38 წ.წ. — ა. სოკოლოვი.
1939-40 წ.წ. — მ. ბუტუსოვი.
1940 წ. — პ. ფილიპოვი.
1940-41 წ.წ.—გუნდში კვლავ დაბრუნდნენ ა. სოკოლოვი და შემდეგ — მ. ბუტუსოვი.
სამამულო ომის წლები — ა. გალპერინი.
1945-47 წ.წ. — ა. ჟორდანია.
1948 წ. — მ. ბერძენიშვილი.
1948 წ. — მ. მინაევი.
1949 წელს გუნდში მესამედ დაბრუნდა ა. სოკოლოვი.
1951-53 წ.წ. — მ. იაკუშინი.
1954 წ. — ბ. პაიჭაძე.
1955 წელს გუნდში დაბრუნდა ა. ჟორდანია.
1956-57 წ.წ. — გ. ჯეჯელავა.
1957 წ. — გ. გაგუა.
1957-58 წ.წ. — ვ. სოკოლოვი.
1959 წ. — გუნდს კვლავ დაუბრუნდა ა. ჟორდანია.
1961 წ. — [illegible] ლოლობერიძე.
1962 წ. — გუნდს დაუბრუნდა მ. იაკუშინი.
1964-65 წ.წ. — გ. კაჩალინი.
1966 წ. — ა. კოტრიკაძე.
1967 წ. — ვ. სოლოვიოვი.
1968-69 წ.წ. — გ. ჩოხელი.
1970 წ. — გუნდს დაუბრუნდა გ. კაჩალინი.
1973 წ. — გუნდს დაუბრუნდა ა. კოტრიკაძე.

მ. ადამია.

ცხაკაია.

გაიმარჯვა ტუკმაკოვმა

პლზენში (ჩეხოსლოვაკია) დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი ელვისებურ თამაშში, რომელშიც საბჭოთა მოჭადრაკეები — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი და ვ. ტუკმაკოვიც მონაწილეობდნენ. I ადგილი დაიკავა ტუკმაკოვმა, II — ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია), III — ტალმა.

კომიტეტმა გამოაცხადა

XXI საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველმა გუნდებმა 15 იანვრამდე უნდა წარადგინონ წინასწარი განაცხადები, ხოლო 1 აპრილამდე — გუნდების საბოლოო შემადგენლობები.

ოლიმპიადა, როგორც ცნობილია, ჩატარდება 6-30 ივნისს ნიცაში.

ლუტიკოვის წარმატება

ლაიპციგში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი 16 დიდოსტატისა და ოსტატის მონაწილეობით. თამაშობდნენ საბჭოთა დიდოსტატები ა. ლუტიკოვი და ი. ბალაშოვიც.

10,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა ვ. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) და ლუტიკოვმა, რომელმაც საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივის პირველი ბალი მიიღო.

გამოცდილება შეიძინეს

ნოემბრის არდადეგების დღეებში ზუგდიდში გაიმართა საქართველოს მოსწავლეთა ღია პირველობა ჭადრაკში. სტარტზე გამოვიდა 16 გოგონა და 34 ჭაბუკი, რომელთა შორის იყვნენ სტუმრები — ლიტველი და მოლდაველი ნორჩი მოჭადრაკეებიც. ორივე ტურნირი შვეიცარიული სისტემით (7-7 ტური) ჩატარდა.

გოგონათა შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა თბილისის 102-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ მ. მამისთვალოვამ — 6 ქულა. II ადგილზე გავიდა მ. ხანთაძე (თბილისის მე-60 საშუალო სკოლა) — 5, III-IV ადგილები გაიყვეს ნ. იოსელიანმა (თბილისის 130-ე საშუალო სკოლა) და ლ. თანდაშვილმა (თბილისის 87-ე საშუალო სკოლა) — 4,5-4,5. კოეფიციენტთა ცხრილით III ადგილი იოსელიანს მიეკუთვნა.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა თ. ხანთაძემ (თბილისის მე-60 საშუალო სკოლა). II ადგილი ხვდა ს. შაჩკუსს (ლიტვა) — 5,5, III-VI ადგილები გაიყვეს ი. ეფიმოვმა (თბილისის მე-2 საშუალო სკოლა), მ. ზლატოპოლსკიმ, ს. ბროდოვოიმ (ორივე — მოლდავეთი) და ზ. ლიფონავამ (ცხაკაიას მე-3 საშუალო სკოლა) — 5-5.

პირველობამ ყველა მონაწილეს გამოცდილება შესძინა. ბევრის თამაშმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მათგან გვინდა გამოვყოთ 12 წლის ნ. იოსელიანი და 11 წლის გ. თორია (ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლა). თორიამ საგანგებო ჯილდოც კი დაიმსახურა ლამაზი კომბინაციისთვის.

წარუმატებლად ითამაშეს საქართველოს ჩემპიონმა ზ. აზმაიფარაშვილმა (თბილისის მე-15 საშუალო სკოლა) და მეორე პრიზიორმა გ. მებუკემ (ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლა).

ზუგდიდელებმა ნორჩ მოჭადრაკეებს კარგი მასპინძლობა გაუწიეს. მოსწავლეები და მათი მშობლები კმაყოფილი დარჩნენ № 17 სასადილოს მომსახურებით. შეჯიბრების საზეიმო დახურვაზე სასადილოს გამგეს ა. სიჭინავას მადლობის ნიშნად სიგელი გადაეცა. ჯილდოები და სიგელები მიიღეს გამარჯვებულმა მონაწილეებმაც.

ს. მეგრელიშვილი,

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

დაბა ბაკურიანის სპორტული ბაზების კეთილმოწყობა-მშენებლობაზე მომუშავე სტუდენტთა და მოსწავლეთა წახალისების შესახებ

რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და მწვრთნელთა სკოლის ის სტუდენტები და მოსწავლეები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი დაბა ბაკურიანში ამჟამად მიმდინარე სპორტული ბაზების მშენებლობასა და კეთილმოწყობაში, საპატიო სიგელებითა და სიგელებით დააჯილდოვა.

საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ:

ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები შ. ტერუნაშვილი, ვ. ბეგალიშვილი, ვ. გულბათაშვილი, ს. მეტრეველი, ა. ღიბრაძე, დ. გელაშვილი, ნ. ხიზანიშვილი, ა. დალაქიშვილი, ტ. ძაბუნიძე, ნ. ტუაევი, კ. ფოლადაშვილი, ვ. საკნელაშვილი, დ. ხოსიაური და ა. ოგანესიანი;

მწვრთნელთა სკოლის მოსწავლეები ა. ზურაბაშვილი, უ. მელიქიძე, თ. რაზმაძე, ა. ვასაძე, მ. ჯათშვილი, ვ. კევლიშვილი, ფ. აშკალოვი, მ. ჭუმბაძე, ვ. მუმლაძე, ა. გოგოლაძე, ო. იდილაძე, ტ. პლატინოვი, ნ. ხუბაევი, მ. ჭაუჭიძე, ა. არჩევნიშვილი, პ. სუხინი, ა. ამანათოვი, მ. ვართანოვი.

სიგელებით დაჯილდოვდნენ:

ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები ლ. ზაგუმიონი, ა. დიბრინი, გ. ვარძელაშვილი, ს. ბარსაკი, ფ. მეგრელაძე, ტ. ჩუთლაშვილი, ო. ყაჭაშვილი, უ. ასამბაძე, ჯ. ახალაია, გ. გრიგორიანი, ნ. შელია, მ. ხუცურაული, მ. სიგუა, გ. ერქომაიშვილი, გ. ჯაფარიძე, გ. ფიცხნარაშვილი, ა. ტყებუჩავა, ბ. ვაწაძე, ვ. დანდურიშვილი, ბ. ბოლდარევი, ა. ფეიქრიშვილი, თ. იაძე, დ. გოგავა, ო. ჯავახიშვილი, ვ. პეტროსიანი;

მწვრთნელთა სკოლის მოსწავლეები ო. კავთუაშვილი, შ. ციხელაშვილი, ი. დვალიძე, რ. სომხიშვილი, ი. ჭავჭავაძე, გ. ჯავახიშვილი, ტ. ჭანტურია, ბ. ნოზაძე, შ. ინასარიძე, ტ. ჭინჭარაული, მ. ჭინჭარაული, ბ. ფარციკანაშვილი, ე. ბოლოთაევი, ტ. მაჭარაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ვ. ანანიაშვილი, გ. ქანდარაშვილი, ტ. ჯიჭოევი.

ფიფა-ს სამარცხვინო პოზიცია

ვენა, 23 ნოემბერი. ავსტრიის გაზეთებში „შპორტ უნდ ტოტოსა" და „ფოლკსშტიმეში" გამოქვეყნებულ წერილებში სპორტკლუბ „ავსტრია-ვინის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ფრიც ვერნერმა გაკიცხა ფიფა, რომელიც ცდილობს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშების მონაწილეთა რიცხვიდან საბჭოთა კავშირის ნაკრების გამოთიშვას. კერძოდ, იგი წერს:

„საბჭოთა სპორტსმენებს გადამწყვეტი მატჩი უნდა ჩაეტარებინათ სანტიაგოში, სტადიონზე, რომელიც ხუნტამ საკონცენტრაციო ბანაკად აქცია. იქ ათასობით ჩილიელს აწამებდნენ, ხვრეტდნენ, სანტიაგოში ჩასულმა ფიფა-ს წარმომადგენლებმა კი განაცხადეს, რომ სტადიონზე მხოლოდ „ევმიტანილი უცხოელების ვინაობას ადგენდნენ"...

როგორი უნდა იყოს ჩვენი პოზიცია? ჩავთვალოთ, რომ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის უარი საკონცენტრაციო ბანაკში თამაშზე მისი პირადი საქმეა და ჩვენ ეს არ გვეხება? არა, ეს ყველას ეხება, ყველა ქვეყანამ უნდა დაუჭიროს მხარი საბჭოთა კავშირს, რომ ფიფა-ში მოკალათებულმა ბატონებმა გადახედონ თავიანთ გადაწყვეტილებას. ამ შემთხვევაში უმთავრესი ფეხბურთი როდია. ადამიანის მორალი და უფლებები წესდების ყველა პარაგრაფსა და დებულებაზე მაღლა უნდა იდგეს".

• • •

პრაღა, 23 ნოემბერი. ჩეხოსლოვაკიის სახალხო პარტიის საპატიო თავმჯდომარე ი. პლოიგარი გაზეთ „ლიდოვა დემოკრაციეს" დღევანდელ ნომერში აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციას სურს საბჭოთა კავშირის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატიდან გამოთიშოს. ამ გადაწყვეტილების მიზეზი ისაა, რომ საბჭოთა გუნდმა უარი თქვა ეთამაშა სანტიაგოს სტადიონზე, რომელიც სამხედრო ხუნტამ წამებისა და სიკვდილის ბანაკად აქცია.

— მსოფლიო საზოგადოებრიობა ეთანხმება იმას, რომ საბჭოთა ფეხბურთელებს არ შეუძლიათ ითამაშონ ადამიანთა სისხლით მორწყულ სტადიონზე, — ხაზგასმით აღნიშნავს ი. პლოიგარი. — სამხედრო ხუნტა ვარაუდობდა, რომ მატჩი სანტიაგოს სტადიონზე იქცეოდა ჩილეში „ნორმალური მდგომარეობის შექმნის" დადასტურებად და მისი ანტისახალხო პოლიტიკის პროპაგანდად. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელები იშველიებენ სპორტის „აპოლიტიკურობას", მაგრამ მათ პოზიციას მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური ხასიათი აქვს, რადგან ისინი ცდილობდნენ მხარი დაეჭირათ ფაშისტური რეჟიმისთვის.

— ყოველი პატიოსანი და საღად მოაზროვნე ადამიანი უნდა დაეთანხმოს საბჭოთა სპორტსმენებს, რომლებმაც არ ისურვეს ჩილელ პატრიოტთა ხსოვნის შებღალვის მონაწილენი გამხდარიყვნენ. საკონცენტრაციო ბანაკი სპორტული შეჯიბრებების ადგილი არ არის, — ხაზგასმით აღნიშნავს დასასრულს ი. პლოიგარი.

• • •

ეს წერილი გეტებორგიდან მიიღო საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოების კავშირმა:

„გთხოვთ ჩემი მადლობა გადასცეთ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციას იმისთვის, რომ მან უარი თქვა ეთამაშა სანტიაგოს სისხლით მორწყულ სტადიონზე.

მარტა ანდრეასონი,
ჟურნალისტი".

საჯელი [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ. კავშირის ჩემპიონატი

დღეს ხუთი მატჩია

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის სტარტზე ყურადღებას იპყრობს ტარტუს „კალევისა“ და კიევის „სტროიტელის“ მატჩი. პირველი წრე ორივე კოლექტივმა ერთნაირი შედეგებით განვლო — სამ-სამი შეხვედრა მოიგო და თითო წააგო. ესტონელები შინ თამაშობენ და ეს მათ გარკვეულ უპირატესობას ანიჭებთ. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ „კალევს“ არავითარი საშუალება არა აქვს წინ აღუდგეს „სტროიტელის“ ცენტრალურ თავდამსხმელებს ს. კოვალენკოსა და ტკაჩენკოს. ერთი სიტყვით, მეორე წრის პირველი დღის მატჩებში ეს შეხვედრა უდავოდ ცენტრალური იქნება.

სსრ კავშირის ჩემპიონი ცსკა მოსკოვის „დინამოს“ ხვდება. ამ გუნდების პირველი წრის მატჩი თბილისში არმიელებმა მოიგეს საკმაოდ დიდი ანგარიშით — 117:88. შეძლებს თუ არა ცსკა ამ წარმატების გამეორებას? ერთი რამ არის საგულისხმო: მოსკოვში არმიელებს მუდამ უჭირდათ თამაში დინამოელებთან. დაირღვევა თუ არა ტრადიცია ამჯერად?

ლენინგრადის „სპარტაკი“ თბილისის „დინამოს“ მასპინძლობს. წლეულს ეს კოლექტივები ერთმანეთს არ შეხვედრიან, შარშანდელი ჩემპიონატის შედეგებით კი უპირატესობა ნევისპირელთა მხარესაა. მათ სამივე მატჩი მოუგეს თბილისელებს საერთო ანგარიშით 232:187 (69:59, 88:66 და 75:62). „დინამოს“ ამჯერადაც ძიძიგურის გარეშე მოუწევს თამაში, ეს კი მის შანსებს ერთობ ამცირებს.

მინსკში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი რტი და კაუნასის „ჟალგირისი“. მეტოქეებმა უკვე მოსინჯეს ძალა პირველ წრეში. გამარჯვება მაშინ ბელორუსიის კალათბურთელებს ხვდათ — 76:69. წინა ჩემპიონატის მატჩების შედეგებს თუ გავიხსენებთ, აქ უპირატესობა ლიტველთა მხარესაა, რომლებმაც ორი მატჩი მოიგეს (84:68 და 64:59) და მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ (70:76).

რიგის არმიელთა კოლექტივი კიეველ თანაგუნდელებს უმასპინძლებს. ეს კოლექტივები პირველ წრეში ერთმანეთს არ შეხვედრიან. არ უთამაშიათ მათ არც წინა ჩემპიონატში, ვინაიდან რიგის ასკ შარშან I ლიგაში იბრძოდა.

მეორე წრის მორიგი მატჩები 28 ნოემბერს გაიმართება. ერთმანეთს შეხვდებიან: „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — ასკ (კიევი), „კალევი“ (ტარტუ) — „დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (მოსკოვი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი), ასკ (რიგა) — „სტროიტელი“ (კიევი). ორი დღის შემდეგ კი ცსკა კაუნასის „ჟალგირისს“ უმასპინძლებს.

ც. ფცქიალაძე.

დებიუტანტის სიურპრიზი

რიგა, 23 ნოემბერი. დღეს აქ დაიწყო კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ნახევარი. რიგის ჯგუფში თამაშობენ: სსრ კავშირისა და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მრავალგზის მფლობელი — ადგილობრივი ტტტ, მოსკოვის ოლქისა და მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდები, კიევის „დინამო“, ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ და საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტი—ფრუნზეს „სტროიტელი“.

პირველ დღეს პირველი სენსაცია მოხდა: დებიუტანტმა უაღრესად მძიმე ბრძოლაში დაამარცხა კიევის „დინამო“ — 62:60 (33:33).

სპარტაკელთა კოლექტივების ორთაბრძოლაში უპირატესობა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელთა მხარეს იყო — 84:75.

წარმატებით დაიწყო ტურნირი შარშანდელმა ჩემპიონმა ტტტ-მ. მან დიდი ანგარიშით მოუგო ლენინგრადის „ბურევესტნიკს“ — 75:38 (36:16).

მოძმე აზერბაიჯანში

ბაქოს „დინამოს“ სპორტის სასახლის საკონფერენციო დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა სსრ კავშირის სპორტული ჟურნალისტების ფედერაციის პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომა-სემინარი.

ჟურნალისტთა შეკრება გახსნა სპორტული ჟურნალისტების საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ მთავარმა რედაქტორმა ნ. კისელიოვმა. შეკრებილთ მიესალმნენ სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი ვ. ჩერნიშოვი და აზერბაიჯანის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შ. ორდუხანოვი.

თემაზე „ამიერკავკასიის სპორტული გაზეთების როლი მასობრიობისა და ოსტატობისთვის ბრძოლაში“ მოხსენებებით გამოვიდნენ აზერბაიჯანის გაზეთ „სპორტის“ რედაქტორის მოადგილე ა. ქიაზიმზადე, სომხეთის გაზეთ „აიასტანი ფიზკულტურნიკის“ რედაქტორი ს. ნაზარიანი და საქართველოს გაზეთ „ლელოს“ განყოფილების გამგე, სარედაქციო კოლეგიის წევრი ჯ. ენუქიძე.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ვ. გავრილინმა („კრასნაია ზვეზდა“), ს. ბლიზნიუკმა („სოვეტსკი სპორტი“), ა. ბალაიანმა („ბაკინსკი რაბოჩი“), ვ. ალიევმა („ვიშკა“) და სხვ.

იმავე დღეს სხდომა-სემინარის მონაწილენი სტუმრად იყვნენ სუმგაითში და ამ სამრეწველო ქალაქის დიდი სპორტული ბაზის კომპლექსურ დარბაზში დაესწრნენ ნორჩ მოჭიდავეთა ვარჯიშს. ჟურნალისტთა შორის იყო სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სპორტულ გადაცემათა განყოფილების გამგე, მრავალგზის მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ა. ივანიცკი. ახალგაზრდა მოჭიდავეებს სახელგანთქმულმა სპორტსმენმა ბევრი რამ საინტერესო უამბო.

მეორე დღეს სხდომა-სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს სსრ კავშირის სპორტკომიტეტის პროპაგანდის სამმართველოს უფროსის ა. ვალიახმედოვისა და გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ მთავარი რედაქტორის ნ. კისელიოვის მოხსენებები. პირველი შეკრებილთ ესაუბრა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში საბჭოთა წარმომადგენლების მუშაობის საკითხზე, ხოლო მეორე — ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციაში საბჭოთა ჟურნალისტების საქმიანობაზე.

შეკრების მონაწილენი ეწვივნენ ბაქოს სპორტული საქონლის ფაბრიკას, სადაც შეხვდნენ მუშებსა და საწარმოს ხელმძღვანელებს. ამ შეხვედრამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. იმავე საღამოს ბაქოს ტელევიზიამ მოაწყო ნახევარსაათიანი გადაცემა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ა. ვალიახმედოვმა, ნ. კისელიოვმა, ა. ივანიცკიმ, ვ. გავრილინმა, ა. ქიაზიმზადემ, ს. ნაზარიანმა და ჯ. ენუქიძემ.

სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომა-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აზერბაიჯანის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები ი. ეფენდიევი და რ. ალიევი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაქო.

ეტიუდი
ვ. კალანდაძე
(თბილისი)



თეთრები იგებენ.

მ. ე. კეკელიძე

მიხეილ ერმილეს ძე კეკელიძე დაიბადა 1921 წლის 12 ივნისს. სწავლობდა თბილისის მე-10 და 36-ე საშუალო სკოლებში. 1937 წელს შევიდა თბილისის უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1942 წელს დაამთავრა.

დიდი სამამულო ომის წლებში მიხეილ კეკელიძე მუშაობდა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში, ომის შემდეგ კი „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდში ჩაირიცხა.

მ. კეკელიძემ კალათბურთის თამაში უნივერსიტეტში დაიწყო, მერე კი „დინამოს“ სახელოვან კოლექტივში გააგრძელა. იგი იყო სსრ კავშირის თასის სამგზის მფლობელი და სსრ კავშირის ჩემპიონი 1950 წელს.

სპორტის ოსტატის წოდება მას 1948 წელს მიენიჭა, სამი წლის შემდეგ კი ავადმყოფობის გამო თავი დაანება კალათბურთის თამაშს და დაიწყო მუშაობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჯერ ფიზკულტურის მასწავლებლად, 1966 წლიდან კი ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგედ, სადაც სიცოცხლის ბოლო დღემდე მოღვაწეობდა.

თბილისის „დინამოში“ მუშაობის დროს მ. კეკელიძე პარალელურად წვრთნიდა ქალაქის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის კალათბურთელებს. მისი ხელმძღვანელობით ეს გუნდი ორჯერ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი.

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში იგი უნარიანად ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის ვაჟთა ნაკრებ გუნდს, რომელმაც ხუთჯერ მოიპოვა სტუდენტთა საკავშირო თამაშების ჩემპიონობა.

1957 წელს თბილისის „ბურევესტნიკმა“ „ა“ კლასის საკავშირო ჩემპიონატში თამაშის უფლება მოიპოვა და მეორე წელს უკვე ამ გათამაშების ერთ-ერთი ღირსეული მონაწილე გახდა. სწორედ ამ პერიოდში მ. კეკელიძემ ქართულ კალათბურთს აღუზარდა რამდენიმე ათეული სპორტის ოსტატი, მათ შორის — მთელს მსოფლიოში სახელმოხვეჭილი სპორტსმენები.

ყოველივე ამისთვის 1958 წელს მიხეილ კეკელიძეს მიენიჭა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება. სკპ წევრი 1946 წლიდან, 1968 წელს საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე გახდა. ეს უკვე მიხეილ კეკელიძის სპორტული მოღვაწეობის სრული აღიარება იყო.

საქართველოს სპორტკომიტეტი;
კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაცია;
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრა.

პირნათელი, გულმართალი მეგობარი

ძნელია დაიჯერო, რომ მიხეილ კეკელიძე ცოცხალი აღარ არის. ძნელია დაიჯერო, რომ იგი არასდროს აღარ მოვა კალათბურთზე, არასდროს აღარ შეაღებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის კარს და თავის მხიარულ ხმას არ შეაგებებს თანამშრომლებს. ძნელია საერთოდ შეურიგდე აზრს, რომ ჩვენს შორის აღარაა ადამიანი, რომელიც მუდამ სიცოცხლისა და ენერგიის ნამდვილი განსახიერება იყო.

ბრძენს უთქვამს, სიკვდილი საერთოდ ყველა ვალს ასწორებსო. მიხეილ კეკელიძემ თავის თაობას, თანამედროვეობას სიცოცხლეშივე გაუსწორა ანგარიში კეთილი და დაფასებული საქმეებით. ასე რომ, მას საქმე არ უნდა ჰქონოდა სიკვდილთან. ბუნება ზოგიერთის მიმართ მართლაც უსამართლოა, მაგრამ ვაი, რომ ბოლომდე აქტიურად ვერ ჩაერევი მის განაჩენში.

მიხეილ კეკელიძეს უყვარდა სპორტი და ამ სიყვარულს შესწირა მთელი თავისი ცხოვრება, სისხლით და ხორცით კალათბურთის ტრფიალი იყო და ღრმა კვალი დატოვა ქართული კალათბურთის ისტორიაში. როცა აქტიურ სპორტს — თამაშს მიანება თავი და არანაკლებ ღირსეულ საქმეს მოჰკიდა ხელი, ახალი ძალით, ცოდნითა და ენერგიით იფეთქა მანამდე დაფარულმა ნიჭმა. მიხეილს ხშირად უთქვამს პირდაპირ: ის, რასაც ვერ მივაღწიე სპორტში, ჩემს მოწაფეებს ერთი ორად უნდა გადავცეო. და გადასცა კიდეც, ოღონდ ერთი ორად კი არა, ერთი ათად. იგი მუდამ ამაყობდა თავისი ნაამაგარით, ამაყობდა იმიტომ კი არა, რომ პატივმოყვარე იყო და ცდილობდა თავისი თავი, თავისი შრომა გამოეჩინა, არამედ იმიტომ, რომ თავდავიწყებით უყვარდა საქმე, უყვარდა კალათბურთი და მის წარმატებებს ეროვნული ღირსების ნიშნით უდგებოდა.

მიხეილ კეკელიძემ — მწვრთნელმა, პედაგოგმა და აღმზრდელმა ბევრ თანამოსაქმეს გადააჭარბა, მაგრამ არც ერთხელ არ გამოუყვია თავისი როლი მკაფიოდ და განსაკუთრებით. მას მიაჩნდა, რომ ყველა მწვრთნელი, ყველა აღმზრდელი ერთ კეთილშობილურ საქმეს ემსახურება და ამიტომაც მათი ღვაწლი საერთოა, ყველაზე ერთნაირად განაწილებული.

მაგრამ მიხეილ კეკელიძის ცხოვრება არასდროს ყოფილა მხოლოდ კალათბურთით შემოფარგლული. მისი ინტერესების სფერო ვიწრო სპეციალიზაციაზე უფრო მაღლა იდგა. იგი, როგორც ჭეშმარიტი მოქალაქე, თავისი ხალხის, საყვარელი ახალგაზრდობის ფიზიკური სრულყოფისთვისაც ზრუნავდა. სწორედ ამ კეთილშობილურმა სურვილმა მიიყვანა იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრაზე, რომლის ხელმძღვანელიც იყო სიცოცხლის ბოლომდე.

ადამიანი დიდია თავისი საქმეებით და მისწრაფებებით. ოღონდ საზოგადოებრივის გვერდით მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს პირადულიც, რაღაც სხვებისგან განსხვავებული, მხოლოდ და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი. ალბათ იმიტომ, რომ თავისი საქმით ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას ემსახურებოდა, მიხეილ კეკელიძე პოეტური ბუნების კაციც იყო. განა პიროვნული სიძლიერის ნიმუში არ არის, რომ იყო რეალისტი, ცხოვრებისეული წიაღიდან წამოსული თანამედროვე მოქალაქე და ამასთან უაღრესად ნაზი, რომანტიკული ბუნების ვაჟკაცი?

მიხეილ კეკელიძის გარშემო მუდამ თავს იყრიდნენ ჩვენი სპორტის, ჩვენი ცხოვრების მოწინავე ადამიანები. სხვაგვარად არც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ერთი სულისკვეთებით, ერთი საქმით ანთებულნი ადრე თუ გვიან მაინც პოულობენ ერთმანეთს. ძნელი დასაჯერებელია მათთვის თანამოაზრისა და თანამებრძოლის ასეთი უეცარი სიკვდილი. მით უმეტეს, როცა ამდენი საქმე გაუკეთებელი დარჩა და ასეთი ძნელი გზა — გასავლელი.

არასოდეს, სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ უფიქრია მას სიკვდილზე. ვერც იფიქრებდა, ვინაიდან მთელი შეგნებით, მთელი არსებით უყვარდა სიცოცხლე, უყვარდა საქმე და ის გარემო, რომელშიც ცხოვრება უხდებოდა.

სიკვდილმა მართლაც თავისი ვალი წაიღო და ყველანი გულნაკლული დაგვტოვა. მაგრამ იმედად ის დაგვრჩა, რომ არასოდეს დაგვავიწყდება ამ პირნათელი და გულმართალი მეგობრის სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტის განვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებში?

არა მხოლოდ თერაპიული საშუალება!

„ტურ დე ფრანსის“ დამთავრებიდან მეორე დღეს გასტონ მაიერი „ეკიპში“ წერდა: „თქვენ ამბობთ, რომ საგზატკეცილო შეჯიბრებები ხელს უწყობს ველოსიპედების მრეწველობას. ვთქვათ, ასეა. მაშ რატომ უშვებენ უფრო მეტ ველოსიპედს იმ ქვეყნებში, სადაც, მკაცრად რომ ვთქვათ, უმაღლეს დონეზე შეჯიბრებები უგულებელყოფილია? ასეა, მაგალითად, შეერთებულ შტატებში, სადაც ველოსიპედს დიდი გამოყენება აქვს თერაპიული ხასიათის მიზეზებით. ასეა შვეციაში, დანიაში, ჰოლანდიასა და დიდ ბრიტანეთშიც კი“.

ჩვენ არ ვიცით, თავის წარმოდგენაში რომელ თანამოსაუბრეს მიმართავს გასტონ მაიერი.

მაგრამ სჯობს შევწყვიტოთ მისი მონოლოგი, რათა გავაგრძელოთ... დიალოგი. ეს მართალია, რომ შეჯიბრებები ხელს უწყობს ველოსიპედების მრეწველობის განვითარებას. ფრანგი კონსტრუქტორები არ უარყოფენ ამას. ისინი არასოდეს არ უარყოფენ ექსპორტზე მოთხოვნილებას, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატებიდან...

ერთადერთი, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს, ის ადგილია, სადაც მაიერი ლაპარაკობს „უმაღლესი დონის შეჯიბრებებზე“. აქ სინამდვილეში ლაპარაკია სპორტულ სპექტაკლებზე და არა ყველა დონეზე ფართოდ დანერგილ სპორტზე. უმაღლესი დონის შეჯიბრებები ველოსპორტში, გასტონ მაიერს თუ ვერწმუნებით, ფაქტიურად მხოლოდ პროფესიული ველორბოლებია...

მიუხედავად ამისა, „გზატკეცილზე მრბოლელთა ოთხი დღე“ ან „სკეპშოლმენ რეისი“, რაც უთუოდ ცნობილია ფრანგი მაყურებლისთვის, უაღრესად პოპულარულია შვეციაში, ძმები პეტერსონების (მსოფლიო ჩემპიონები მოყვარულთა გუნდურ რბოლაში 1967, 1968, 1969 წლებში) სამშობლოში.

დიდ ბრიტანეთში (სადაც გაისად „ტურ დე ფრანსი“ შეივლის) მოყვარულთა შეჯიბრებების გარდა, პროფესიონალთა, სულ ცოტა, ექვსი მრავალდღიანი ველორბოლა მაინც ტარდება, თუ დიდი ბრიტანეთის ტურს არ დავივიწყებთ (12 ეტაპია, რაც უნდა იყოს).

ყველა დიდი ჩემპიონი ისურვებდა თავისი სახელის ხილვას ჰოლანდიის „ამსტელ გოლდ რეისში“ გამარჯვებულთა შორის. ჩამოთვლა კიდევ შეიძლება გავაგრძელოთ.

დავასახელოთ, აგრეთვე, იაპონია, სადაც ყოველ მეორე კაცს ველოსიპედი აქვს (მარტო ტოკიოში 2 მილიონი ველოსიპედია), ამასთან უამრავი მოქმედი ველოდრომია და შეჯიბრებებსაც დიდძალი მაყურებელი ესწრება.

მაგრამ აქ ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ ველოსპორტის განვითარებაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვინაიდან „იუმანიტეს“ რედაქციაში შევხვდით ამერიკული ველოსპორტის ერთ-ერთ ენთუზიასტს ალექს ბაუმს. მან გვითხრა, რომ ლოს-ანჯელესში შენდება ორი ახალი ველოდრომი, გვიამბო იქ გამართულ შეჯიბრებებზე. ამას წინათ ალექს ბაუმმა საგზატკეცილო რბოლა მოაწყო და ვარაუდობდა, რომ სტარტზე 150 მონაწილე გამოვიდოდა. მაგრამ მსურველთა რიცხვმა... ოთხასს მიაღწია. ალექს ბაუმი ვაშინგტონში გამოიძახეს, რათა იქ თავისი გეგმა წარედგინა. მან მართლაც წარადგინა სკოლებსა და უნივერსიტეტებში ველოსპორტის განვითარების პროექტი.

მშობლები ისევე დაინტერესებული არიან, როგორც ბავშვები! მაგრამ წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. ალექს ბაუმმა ერთ სკოლას 20 ველოსიპედი გადასცა იმ ვარაუდით, რომ ამ სახეობაში 30-40 ბიჭი ჩაება, მაგრამ სინამდვილეში სექციაში 120 ახალგაზრდა ჩაეწერა.

ბაუმს არ ეშინია იმის განცხადებისა, რომ ცურვის, ბეისბოლის, მძლეოსნობისა და ამერიკული ფეხბურთის შემდეგ ველოსპორტი ლამის ერთ-ერთ მთავარ სახეობად იქცეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორ მსოფლიო ომს შორის განვლილ პერიოდში ტრეკზე ექვსდღიანი რბოლები ამერიკის შეერთებული შტატების 20-ზე მეტ ქალაქში ტარდებოდა, მაგრამ ამას მაინცდამაინც საგრძნობი გავლენა არ მოუხდენია ველოსიპედებით ვაჭრობაზე.

დღეს თუ საქმე სხვაგვარადაა, ეს შეიძლება თერაპიული მიზეზებით იყოს გამოწვეული. რაც მთავარია, გამოჩნდა ჭკვიანი ხალხი, რომელმაც დასაბამი დაუდო ველოსპორტის განვითარებას. ამ მიზნით სულაც არ არის საჭირო „ტურ დე აშშ-ს“ გამართვა „უმაღლეს დონეზე“ და თვალისმომჭრელი რეკლამით. შეიძლება ესეც მოხდეს, მაგრამ ჯერჯერობით მთავარი ისაა, რომ იქ დაიწყო განვითარება სპორტის სახეობისა, რომელიც დღემდე წმინდა ევროპულად ითვლებოდა.

აბელ მიშეა.

„იუმანიტე“, 1978 წ.

ფრანგულიდან თარგმნა **მ. ბარამიამ.**

• • •

სურათზე (მარცხნიდან): ლ. ჟერარდენი, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონ დ. მორელონის მწვრთნელი, ა. ბაუმი და „იუმანიტეს“ სპორტული განყოფილების გამგე ა. მიშეა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

1912 წლის შემდეგ

ინგლისის ჩემპიონი „ლივერპული“ ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურისთვის“ მუდამ ფრიად უხერხული მეტოქე იყო. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელად ლონდონელებმა ლივერპულში გაიმარჯვეს... 1912 წელს.

ახლა „ტოტენჰემ ჰოტსპური“ ინგლისის ჩემპიონატში უთანაბროდ გამოდის, მაგრამ მწვრთნელი ბ. ნიკოლსონი ერთით მაინც კმაყოფილია: მისმა გუნდმა ასეთი ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ ბოლოს და ბოლოს შეძლო ლივერპულში გამარჯვება.

სამი მომენტი ორი ჩოგბურთელის ცხოვრებიდან ანუ როგორ აჯობა ქალმა კაცს

20 სექტემბერს ჰიუსტონში (აშშ, ტეხასის შტატი) გაიმართა მატჩი მსოფლიოში ამჟამად ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელ ქალსა და წარსულში ასევე ცნობილ ჩოგბურთელ ვაჟს შორის. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თანამემამულეები ბილი-ჯინ კინგი და 55 წლის ბობი რიგსი. ეს ფოტოსურათებიც სწორედ ამ უჩვეულო მატჩის შესახებ მოგვითხრობენ. რიგსი ტრაბახობდა: კინგთან მე დიდი ბრძოლა არ დამჭირდება და მატჩის საპრემიო ფულსაც უშრომლად ჩავიჩხრიალებ ჯიბეშიო (პრემია კი მართლაც უზარმაზარი იყო — 100 ათასი დოლარი!).

ზედა ფოტოსურათი შეხვედრის წინ გამართულ პრეს-კონფერენციაზეა გადაღებული. როგორც ხედავთ, კინგი „განრისხებულია“ და ასეთი ჟესტით იძლევა პასუხს ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე, რაზედაც რიგსი იღიმება.

შუა სურათზე თქვენ ხედავთ რიგსს, რომელიც „სუსტი სქესის“ წარმომადგენლებს ტახტრევანზე დაუსვამთ: ისინი ეს-ესაა შევიდნენ ჰიუსტონის „ესტროდომის“ კორტზე. ორიოდე საათის შემდეგ აქედან სულ სხვა ადამიანი გამოვიდა — დამარცხებული და მოტეხილი რიგსი. მან ეს მატჩი წააგო ანგარიშით 4:6, 3:6, 3:6 და 100 ათასი დოლარიც დაკარგა.

ქვედა ფოტოსურათზე გამარჯვებულისთვის ყველაზე სასიამოვნო მომენტია აღბეჭდილი: მსოფლიოს ჩემპიონი, ოღონდ არა ჩოგბურთში, არამედ კრივში, ჯორჯ ფორმენი ბედნიერ კინგს თასსა და 100 ათასი დოლარის ჩეკს გადასცემს.

ასოშიეიტედ პრესის ფოტოები.

„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)



28 ნოემბერს

უეფა-ს თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩი:

„დინამო“ (თბილისი) —
„ტოტენჰემ ჰოტსპური“
(ლონდონი)

დასაწყისი 18 ს.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა: ორგანიზაციებში — 26 და 27 ნოემბერს, აბონემენტებზე — ამავე დღეებში 11-დან 18 საათამდე სტადიონის სალაროებში. საერთო გაყიდვა — 28 ნოემბერს 10 საათიდან.

ჩვენი მისამართი ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 380096, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55. სპორტული განყოფილება — 99-56-47 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59 ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 12941